საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი
მერია
GEORGIA
RUSTAVI CITY MUNICIPALITY
CITY HALL

N 02/16364
09/11/2017

16364-02-2-201711091457

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს

გთხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 113-ე მუხლის გათვალისწინებით მუნიციპალურ საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადმოგვცეთ ქალაქ რუსთავში, მე-13 მკრ. აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 13319 კვ.მ. ფართობის მქონე (ს/კოდით: 02.02.04.384.) და 5930 კვ.მ. ფართობის მქონე (ს/კოდით: 02.02.04.387) მიწის ნაკვეთები. აღნიშნულ ტერიტორიაზე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი სამომავლოდ გეგმავს სპორტული კომპლექსის მშენებლობას, რომელიც ქალაქის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ამასთან გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთები მდებარეობს (საპროექტო) საცხოვრებელ ზონა 6 (სზ 6)-ში, რაც თავის მხრივ გულისხმობს რომ საპროექტო ტერიტორიის დაგეგმარება უნდა მოხდეს შესაბამისი ზონალობისა და მიმდებარედ უკვე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გათვალისწინებით.

პატივისცემით,

დავით ჯიქია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

საქართველო, რუსთავი 3700, კოსტავას 20 ტელ: (+995 341) 22 00 97; ფაქსი: (+995 341) 22 47 74
E-mail: municipality@rustavi.gov.ge Web: www.rustavi.gov.ge
20 Kostava, Georgia, Rustavi, 3700, Tel: (+995 341) 22 00 97; Fax: (+995 341) 22 47 74

KA021771830396817

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, თ ჭოველიძის ქ 10ა
ტელ: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

10a T.Chovelidze Str.,0108 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/59226

10 / ნოემბერი / 2017 წ.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 09.11.2017წ. №02/16364 წერილის პასუხად, რომელიც ეხება, ქალაქ რუსთავში, მე-13 მ/რ, აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე 13319 კვ.მ. და 5930 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (ს/კ N02.02.04.384 და N02.02.04.387), მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის საკითხს, შემდგომში სპორტული კომპლექსის მშენებლობის მიზნით, გაცნობებთ, რომ საკითხის შემდგომი განხილვის მიზნით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში წარმოსადგენია პროექტის განხორციელებისთვის გათვალისწინებული ვადისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია/დოკუმენტაცია, ამასთან, წერილში წარმოდგენილი ღონისძიებისთვის გათვალისწინებული შესაბამისი პროექტი და დაფინანსების წყარო.

საჯარო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსი

დავით მიქაძე

საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი
მერია
GEORGIA
RUSTAVI CITY MUNICIPALITY
CITY HALL

N 02/16480
14/11/2017

16480-02-2-201711141252

სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო"-ს

თქვენი მიმდინარე წლის 10 ნოემბრის #5/59226 წერილის (შემოსული #22942/02) პასუხად, გაცნობებთ, რომ ქალაქ რუსთავში, მე-13 მკრ. აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 02.02.04.384 და ს/კ: 02.02.04.387) სსიპ ,,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი" გეგმავს მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობას, რომლის საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 5 (ხუთი) მილიონ ლარს. შესაბამისად, გთხოვთ ხელმეორედ განიხილოთ ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთების მუნიციპალურ საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადმოცემის საკითხი და მიიღოთ დადებითი გადაწყვეტილება. ამასთან, განსახორციელებელი პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ სსიპ ,,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს".

პატივისცემით,

ირაკლი ტაბაღუა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

საქართველო, რუსთავი 3700, კოსტავას 20 ტელ: (+995 341) 22 00 97; ფაქსი: (+995 341) 22 47 74
E-mail: municipality@rustavi.gov.ge Web: www.rustavi.gov.ge
20 Kostava, Georgia, Rustavi, 3700, Tel: (+995 341) 22 00 97; Fax: (+995 341) 22 47 74

KA021758558822617

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

# ბრძანება

N1/1-3062

01 / დეკემბერი / 2017 წ.

## სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 113-ე მუხლის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 09.11.2017წ. N02/16364 (რეგისტრაციის N102394/10, 09.11.2017წ.) და 14.11.2017წ. N02/16480 (რეგისტრაციის N103869/10, 14.11.2017წ.), სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 16.11.2017წ. N2960-გ, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციის 14.11.2017წ. N01/2181 წერილებისა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის 27.11.2017წ. N107350 და სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის 27.11.2017წ. N107409 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

### ვბრძანებ

1. გადაეცეს საკუთრებაში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს, დამატებითი ქონების სახით, ქალაქ რუსთავში, XIII მიკრო/რაიონი, აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე 13319.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N02.02.04.384) და ქალაქ რუსთავში, XIII მიკრო/რაიონი, აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე 5930.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N02.02.04.387).
2. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, 0108, ჭოველიძის ქუჩა №10ა.) ბრძანების გამოცემიდან 1 თვის ვადაში და შემდგომ სასამართლოში.

3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღეს.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ეკატერინე სისაური